

## საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N3 - ავტომატური გადახდები

1. ავტომატური გადახდების მეშვეობით, კლიენტს უფლება აქვს მისცეს ბანკს დავალება, რომ ბანკმა ავტომატური გადახდების მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, განაცხადით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მიმდინარე ანგარიშიდან გადარიცხოს თანხა მიმღების (ან/და მიმღების პროვაიდერის) საბანკო ანგარიშზე.
2. ავტომატური გადახდების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები განაცხადით განსაზღვრულ შესაბამის ანგარიშ(ებ)ზე.
3. დავალების შესრულების ანგარიში შესაძლებელია იყოს 1 (ერთი) ძირითადი და 2 (ორი) დამატებითი მიმდინარე ანგარიში. დამატებითი მიმდინარე ანგარიშები გამოიყენება ძირითადი მიმდინარე ანგარიშის შესავსებად განაცხადით განსაზღვრული პრიორიტეტულობისა და ამ დანართით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
4. ძირითადი მიმდინარე ანგარიშის სახით მიეთითება მხოლოდ ისეთი უნივერსალური მიმდინარე ანგარიში, რომელზეც გააქტიურებულია ლარის ვალუტა.
5. თუ დავალების შესასრულებლად არჩეულია უნივერსალური მიმდინარე ანგარიში, დავალების შესრულებისას გაითვალისწინება უნივერსალური მიმდინარე ანგარიშის მულტისავალუტო ლიმიტი. უნივერსალური მიმდინარე ანგარიშიდან თანხა ჩამოიჭრება შემდეგი თანმიმდევრობით: ლარი, აშშ დოლარი, ევრო, გირვანქა სტერლინგი.
6. დავალების შესრულებისას პირველ რიგში განხორციელდება პრიორიტეტში პირველ რიგში მდგომი მიმდინარე ანგარიშიდან, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირველი პრიორიტეტის მიმდინარე ანგარიშზე არ არის საკმარისი თანხა მომდევნო პრიორიტეტის მიმდინარე ანგარიშიდან თანხა პირველ რიგში გადაირიცხება პირველი პრიორიტეტის მქონე მიმდინარე ანგარიშზე და მხოლოდ ამის შემდეგ შესრულდება დავალება.
7. თუ ძირითად მიმდინარე ანგარიშზე არ იქნება საკმარისი თანხა (როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში), თანხის საჭირო ნაწილი შეივსება განაცხადით განსაზღვრული დამატებითი მიმდინარე ანგარიშებიდან, განაცხადით ან ბანკის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტულობის შესაბამისად.
8. თუ ნებისმიერი მიზეზით დაიხურა განაცხადით განსაზღვრული რომელიმე მიმდინარე ანგარიში (როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი), ან/და მისი/მათი გამოყენება დაუშვებელია კანონმდებლობით ან/და ბანკის მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, ასეთი მიმდინარე ანგარიშის ადგილს პრიორიტეტულობის ნუსხაში იკავებს პრიორიტეტულობის რიგითობით შემდეგი მიმდინარე ანგარიში. თუ დაიხურა პირველი პრიორიტეტის მიმდინარე ანგარიში რიგითობით შემდეგი მიმდინარე ანგარიში უნდა აკმაყოფილებდეს პირველი პრიორიტეტის მიმდინარე ანგარიშის პირობებს, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი რიგის პრიორიტეტის ადგილს დაიკავებს მესამე პრიორიტეტის მქონე მიმდინარე ანგარიში, თუ აკმაყოფილებს პირველი რიგის პრიორიტეტის მიმდინარე ანგარიშის მოთხოვნებს.
9. დავალების შესრულება ან/და მის შესასრულებლად საჭირო თანხების გადმოტანა დანარჩენი ანგარიშებიდან არ განხორციელდება მომდევნო თარიღამდე როცა უნდა შესრულდეს დავალება, თუ დავალების შესრულების დღეს ძირითად ანგარიშზე დადგენილი მინიმალური ნაშთი დარღვეულია.
10. დავალების შესრულების ანგარიშს ირჩევს კლიენტი, მაგრამ მის მიერ ბანკისათვის ერთდროულად რამდენიმე დავალების მიცემის შემთხვევაში ყველა ამ დავალებისთვის შესაძლოა შერჩეულ იქნეს მხოლოდ ერთი, საერთო ანგარიში.
11. თუ დავალების ან მისი ნაწილის შესრულება ხდება განაცხადით განსაზღვრულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული უცხოური ვალუტის გამოყენებით, კონვერტაცია განხორციელდება დავალების შესრულების მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად. კონვერტირებული თანხა პირველ რიგში მიემართება პრიორიტეტით პირველ ლარის მიმდინარე ანგარიშზე და შემდეგ შესრულდება დავალება.
12. დავალების შესრულებისას გამოყენებად თანხაში გაითვალისწინება, მიმდინარე ანგარიშზე დაშვებული ოვერდრაფტის თანხა, დაწესებული მინიმალური ნაშთის და ჩატარებული, მაგრამ ანგარიშზე მიმდინარე მომენტისათვის აუსახავი ოპერაციების შესაბამისი თანხები.
13. იმ შემთხვევაში თუ პირველი პრიორიტეტის მიმდინარე ანგარიშზე დაწესებულია მინიმალური ნაშთი და ამასთანავე, დარღვეულია მინიმალური ნაშთის ლიმიტი, დავალება არ შესრულდება.
14. კლიენტი უფლებამოსილია განაცხადით განსაზღვროს დავალების პრიორიტეტულობა, რომლის შესაბამისადაც მოხდება ერთსა და იმავე თარიღში, ერთსა და იმავე ანგარიშზე არსებული დავალების შესრულების მცდელობის დაწყების თანმიმდევრობა.

15. თუ **დავალების** შესრულების ერთსა და იმავე დღეს (ამასთან, **მხარეები** ადასტურებენ, რომ **დავალების** შესრულების დღე შეიძლება არ ემთხვეოდეს კალენდარულ ან **საბანკო დღეს** და იგი განისაზღვრება **ბანკის** მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად) **კლიენტის** მიერ დაფიქსირებულია ერთზე მეტი **დავალება** და თუ მაღალი პრიორიტეტის **დავალების** შესასრულებლად საკმარისი თანხა არ არის **განაცხადით** განსაზღვრულ **მიმდინარე ანგარიშებზე**, მაგრამ საკმარისია შედარებით დაბალი პრიორიტეტის **დავალების** შესასრულებლად, შესრულდება დაბალი პრიორიტეტის **დავალება**.

16. ტექნიკური მიზეზების გამო შესაძლებელია **დავალება** შესრულდეს დაბალი პრიორიტეტის მქონე **მიმდინარე ანგარიშიდან**, მაშინაც კი როცა საკმარისია თანხა მაღალი პრიორიტეტის **მიმდინარე ანგარიშისთვის**.

17. **კლიენტი** უფლებამოსილია:

17.1. **დავალების** შესრულებისთვის აირჩიოს ფიქსირებული ან ცვალებადი თარიღი:

17.1.1. ფიქსირებული თარიღის არჩევის შემთხვევაში - **დავალება** შესრულდება **განაცხადით** განსაზღვრულ კონკრეტულ თარიღში;

17.1.2. ცვალებადი თარიღის არჩევის შემთხვევაში - **დავალება** შესრულდება **მიმღების** მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

17.2. **დავალების** შესრულებისათვის აირჩიოს ფიქსირებული ან ცვალებადი თანხა:

17.2.1. ფიქსირებული თანხის არჩევის შემთხვევაში - **დავალება** შესრულდება **განაცხადით** განსაზღვრული თანხის ოდენობის ფარგლებში;

17.2.2. ცვალებადი თანხის არჩევის შემთხვევაში - **დავალება** შესრულდება **მიმღების** მიერ მიწოდებული თანხის ფარგლებში.

17.3. თითოეული **დავალებისათვის** განსაზღვროს **დავალების** შესრულების მაქსიმალური თანხა. ასევე აირჩიოს შესრულდეს თუ არა **დავალება** იმ შემთხვევაში, როდესაც გადასახდელი ოდენობა აღემატება **დავალების** შესრულების მაქსიმალურ თანხას, ან აირჩიოს **დავალების** შესრულება მხოლოდ შესრულების მაქსიმალური თანხის ფარგლებში.

17.4. აირჩიოს გადახდის პერიოდულობა (დროის იმ პერიოდს, რომლის გასვლის შემდეგაც ხდება **დავალების** განმეორებით შესრულება), მის მიერ **დავალების** შესრულების ფიქსირებული თარიღის არჩევის შემთხვევაში, ხოლო ცვალებადი თარიღის არჩევის შემთხვევაში - გადახდის პერიოდულობა განისაზღვრება **მიმღების** მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

17.5. ცვლილება შეიტანოს **დავალებაში**, **დავალებაში** ცვლილების შეტანის მომენტში **საკომისიოს** დავალიანების არ არსებობის შემთხვევაში.

18. მიუხედავად იმისა, **ავტომატური გადახდებით მომსახურების** ფარგლებში **კლიენტი** ბანკს რამდენ **დავალებას** მისცემს, **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **ავტომატური გადახდებით მომსახურების** მხოლოდ ერთი **საკომისიო**. **საკომისიო** აიღება იმ შემთხვევაშიც, თუ გასული თვისათვის **კლიენტს** **ავტომატური გადახდებით მომსახურება** ჩართული ჰქონდა, მაგრამ **საკომისიოს** აღების მომენტისათვის რაიმე მიზეზით მისით აღარ სარგებლობს.

19. გათიშული **ავტომატური გადახდების მომსახურების** გააქტიურებისას **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს შეჩერების დღიდან გააქტიურებს დღემდე დაგროვებული **საკომისიო**.

20. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** წინასწარი **შეტყობინების** გარეშე ავტომატურად შეწყვიტოს **ავტომატური გადახდებით მომსახურება**, თუ:

20.1. ზედიზედ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული **ავტომატური გადახდებით მომსახურების საკომისიო**.

20.2. დაიხურა ყველა **ანგარიში** საიდანაც უნდა განხორციელებულიყო **დავალება**;

20.3. **ბარათის** ვადის გასვლის გამო არააქტიურია ყველა **ანგარიში** საიდანაც უნდა განხორციელებულიყო **დავალება**.

21. **ბანკი** უფლებამოსილია **დავალების** შესრულების შესახებ ინფორმაცია, მოკლე **ტექსტური შეტყობინებით**, მხოლოდ ერთხელ გააგზავნოს **კლიენტის ფინანსურ ნომერზე**. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი თუ რაიმე მიზეზით, გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება არ აისახა **კლიენტის ფინანსურ ნომერზე**.

22. **კლიენტის** მიერ **ფინანსური ნომრის** შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში ამგვარი ინფორმაციის ბანკისათვის მიწოდებაზე პასუხისმგებელია **კლიენტი**.

23. თუ **განაცხადით** განსაზღვრულ ფიქსირებულ თარიღში, ან ცვალებადი თარიღის არსებობისას **მიმღების** მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ვერ შესრულდება **დავალება**, **დავალების** შესრულების მცდელობა განმეორდება **ბანკში** დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

24. იმ შემთხვევაში თუ **განაცხადით** განსაზღვრულია **დავალების** შესრულების ფიქსირებული თანხა, თითოეულ შემთხვევაში განხორციელდება მიმდინარე გადასახდელის გადარიცხვა **მიმღებისათვის** და არ იქნება გათვალისწინებული შეუსრულებელი **დავალებების** ნაწილი.